ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 54

2016 წლის 23 ივნისი

ხაშური

**„ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 აგვისტოს N85 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილების და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების საფუძველზე და ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის №466 განკარგულებით და საქართველოს მთავრობის 2016 წლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012-2013-2014-2015 წლებში აუთვისებელი სახსრების ნაშთის ფარგლებში ხდება ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების განხორციელება.
საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად **ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:** :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 აგვისტოს №85 განკარგულებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №1-ის სახით (თან ერთვის 4 ფურცლად);
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა (   2012-13-14-15 წწ ნაშთები)

| N | ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი | 2012 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი | 2013 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი | 2014 წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი | 2015წელში გამოყოფილი სახსრების ნაშთი | სამუშაოთა ნუმერაცია № | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცოცხნარა | ცოცხნარა | | | | 41 | 1 | ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა | 120 000 |
| | | ქემფერი | | 521,39 | 739,5 | 609 | | | |
| | | წაბლოვანა | | 816,6 | 3106 | | | | |
| | | ცედანი | | 6115 | | 330 | | | |
| | | ოძისი | | 4894 | | 107,62 | | | |
| 2 | ალი | ალი | | | | 2248,45 | | | |
| | | ბრილი | | | 1880 | 1894 | | | |
| | | ქინძათი | 64 | 2954 | 911 | | | | |
| | | ახალუბანი | 3757 | 851 | | 539 | | | |
| | | ზემო აძვისი | | 233 | | | | | |
| | | მცხეთიჯვარი | 1460 | | | 64 | | | |
| | | ნაბახტევი | | | | 27 | | | |
| | | უწლევი | 1083,9 | 352,86 | | 113 | | | |
| 3 | [illegible] | ხცისი | | | | 14627 | 2 | სტადიონის მოწყობა | **15367** |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | სცისი | მიწობი | | | 4423 | 473 | | | |
| 4 | ფლევი | დიდი ფლევი | | 5616 | | 76,95 | | | |
| | | პატარა ფლევი | 2670 | 159 | | 239 | | | |
| | | ტკოცა | 1071 | 3085 | | 935 | | | |
| | | ნაცარგორა | | | | 68,89 | | | |
| 5 | წაღვლი | წაღვლი | 169,99 | 3837,39 | 17134 | 1845 | | | |
| | | წელვერი | | | | 5,34 | | | |
| | | ჩორჩანა | | | | 158 | | | |
| | | ყობი | 2138 | | 4132 | 820 | | | |
| | | კლდისწყარო | 1051,49 | 654 | | 1343 | | | |
| | | ქვემო ბროლოსანი | 37,71 | 916,55 | | 661,95 | | | |
| 6 | ოსიაური | ქვემო ოსიაური | 284,13 | 461,22 | | 2279 | | | |
| | | ზემო ოსიაური | | | | 583 | | | |
| | | ახალსოფელი | | | | 382 | | | |
| | | დაბა სურამი | 412,65 | 353,24 | | 3670 | 3 | სურამის #9 საბავშვო ბაღის საყრდენი კედლის და ღობის მოწყობა | **25028,71** |
| | | ბიჯნისი | | | | 928 | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | დაბა სურამი | ურთხვა | 162,67 | 108,52 | | 662 | | | |
| | | დიდი ბეკამი | | | | 2963 | | | |
| | | პატარა ბეკამი | | | | | | | |
| | | ნადარბაზევი | | | | 281 | | | |
| | | ზეკოტა | 1948,2 | 3,45 | | 292 | | | |
| 8 | ქვიშხეთი | ქვიშხეთი | 353,58 | 318,9 | | 2999 | | | |
| | | ტაშისკარი | 1872,13 | 830,32 | | | | | |
| | | ბელლეთი | | | 4240 | | | | |
| | | ბულბულისციხე | 399,46 | 61,57 | | 166 | | | |
| | | სარმანიშვილისკარი | 40,37 | | | 1230 | | | |
| | | ტეზერი | 4053,31 | | | | | | |
| | | ყიფიანთუბანი | 1358,08 | | | | | | |
| | | სავანისუბანი | 1964,18 | 100,85 | | 2479 | | | |
| | | სათივე | | | | 4046 | 4 | წყლის სისტემის მოწყობა | 4046 |
| | | მონასტერი | | | | 34 | 5 | | |
| | | რუსაანთუბანი | 1594,96 | 623,32 | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ხალები | ღართა | | | | 4346 | 6 | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა | 4346 |
| | | სარტყელა | | | | 6416 | 7 | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 6416 |
| | | დიდი ხალები | | | | 466 | 8 | | |
| | | პატარა ხალები | | | | 170 | | | |
| | | ღვრიაწყალი | | | | 714 | | | |
| 10 | გომი | აგარები | | | | 1015,93 | | | |
| | | ხიდის ყური | | 1431 | | 780 | | | |
| | | ქვემო აძვისი | | | | 412 | | | |
| | | ვაყა | | | | 5494,71 | | | |
| | | დიდი სატივე | | | | 1916,72 | | | |
| | | პატარა სატივე | | | | 1164 | | | |
| 11 | წრომი | წრომი | | | | 768 | | | |
| | | ახალშენი | | | | 137 | | | |
| | | დიდი ყელეთი | | | | 1366,85 | | | |
| | | ნადარბაზევი | | | | 5,81 | | | |
| სულ ჯამი(ლარი) | | | | | | | | | **175 203,71** |